

**შეტყობინება მესამე
ღმერთის ხალხის ორი ბოროტება
და ღმერთის ერთგულება
თავისი სახლშენებლობის შესრულებაში**

ადგილები წერილიდან: იერ. 2:13; ფსალ. 36:8-9; იოანე 4:10, 14; 7:37-39; 1 კორ. 10:4; 12:13

- I. იერემია წინასწარმეტყველის წიგნი, სავსე ისრაელის ცოდვისა და ღმერთის რისხვის, წვრთნისა და დასჯის აღწერით, გვიხსნის, რომ ღმერთს თავის სახლშენებლობაში განზრახული აქვს იყოს სათავე, დასაწყისი, ცოცხალი წყლების, რათა დაარიგოს თავისი თავი თავის ამორჩეულ ადამიანებში მათი დაქმაყოფილებისათვის და ტკბობისათვის იმ მიზნით, რომ წარმოქმნას გადლესია, ღმერთის წყვილი, როგორც ღმერთის გადიდება, ღმერთის გაფართოვება, რათა იყოს ღმერთის სისავსე მისი გამოხატულებისათვის; ღვთაებრივი გამოცხადების ბირთვი არის ის, რომ ღმერთმა შეგძმნა ჩვენ და გამოგვისყიდა იმ მიზნით, რომ ჩაენერგა თავისი თავი ჩვენში და გამხდარიყო ჩვენი სიცოცხლე და ყველაფერი ჩვენთვის – კოლ. 2:13; ფსალ. 36:8-9; იოანე 3:29-30; 4:10, 14; 7:37-39; გამოცხ. 7:17; ეფეს. 3:16-19:
- ქრისტე როგორც ცოცხალი, სულიერი კლდე იყო გაპობილი ღმერთის კანონის ძალაუფლებით, რათა სიცოცხლის წყალი აღდგომაში გადმოდვრილიყო მისგან და ჩაღვრილიყო მის გამოსყიდულ ადამიანებში, იმისათვის, რომ მათ დაელიათ ის – გამ. 17:6; 1 კორ. 10:4.
 - როდესაც ჩვენ ვსკამო ერთ სულს აღდგომაში, ეს გვხდის ჩვენ სხეულის ასოებად, გვაშენებს ჩვენ როგორც სხეულს და გვამზადებს ჩვენ იმისათვის, რომ ჩვენ ვიყო ქრისტეს პატარძალი – 12:13; გამოცხ. 22:17.
- II. „ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ხალხმა: მე, ცოცხალი წყლების სათავე,
მიმატოვეს და ამოკვეთეს თავიანთოვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ“ – იერ. 2:13:
- ისრაელს უნდა დაელია ღმერთისაგან როგორც ცოცხალი წყლების სათავიდან, რათა გამხდარიყო ღმერთის გადიდება როგორც ღმერთის გამოხატულება, მაგრამ მათ ამის ნაცვლად ჩაიდინეს ორი ბუროტება:
 - მათ მიატოვეს ღმერთი როგორც თავიანთი სათავე, თავიანთი დასაწყისი, და ისინი შებრუნვნენ სათავისაკენ, რომელიც განსხვავდება ღმერთისაგან; ეს ორი ბოროტება განსაზღვრავს იერემია წინასწარმეტყველის მთელი წიგნის მიმართულებას.
 - ის, რომ ისრაელმა ამოკვეთა თავისთვის ჭები, აღნიშნავს ისრაელის გამოფიტვამდე მიმყვან ადამიანურ შრომას, მიმართულს იმისკენ, რომ გააკეთოს თავისთვის რაღაც (კერპები) ღმერთის ნაცვლად.
 - ის, რომ ჭები იყო დანგრეული და ვერ იკავებდნენ წყალს, მიუთითებს იმაზე, რომ გარდა თვით ღმერთისა, რომელიც რიგდება ჩვენში როგორც ცოცხალი წყალი, არაფერს არ შეუძლია დააკმაყოფილოს

ჩვენი წყურვილი და გაგვხადოს ჩვენ ღმერთის გადიდება მისი
გამოხატულებისათვის – იოანე 4:13-14.

- ბ. ღმერთის თვალში მანკიერად, ბოროტმოქმედად ითვლება ის, ვინც არ
მიდის მისგან წყლის დასალევად (ესაია 55:7); დამდუპელი მდგომარეობა
მანკიერების ხასიათდება იმით, რომ ისინი არ მიდიან უფალთან, რათა
ჭამონ უფალი, დალიონ უფალი და დატკბნენ უფლით; ისინი აკეთებენ
მრავალ რამეს, მაგრამ არ მიდიან, რათა შეეხონ უფალს, მოპოვონ ის,
მიიღონ ის, შეჭამონ ის და დატკბნენ მისით; ღმერთის თვალში არ არის
არაფერი უფრო ბოროტი, ვიდრე ეს (57:20-21; შდრ. 55:1-2).
- გ. ღმერთს სურდა, რომ დაერიგებინა თავისი თავი ადამიანში როგორც მისი
დაკმაყოფილება, რათა ღმერთი ყოფილიყო გადიდებული, მაგრამ ადამიანი
გახდა ორგული და უწმიდური და მიატოვა ღმერთი, შებრუნდა
კერპებისაკენ:
1. კერპი ჩვენს გულში (ეზეკ. 14:3) არის ყველაფერი ჩვენ შიგნით, რაც
ჩვენ გვიყვარს და რასაც ვაფასებთ უფრო მეტად ვიდრე უფალს, და
რაც ანაცვლებს უფალს ჩვენს ცხოვრებაში (1 იოანე 5:21):
 - ა) ის, ვინც აწყობს კერპებს თავის გულში, უცხო ხდება
უფლისათვის თავიანთი კერპების გამო (ეზეკ. 14:5).
 - ბ) ყველა, ვისაც თავის შიგნით ყავს კერპები და ამასთან ერთად
ეძებს ღმერთს გარეგნულად, ვერ იპოვის მას (მუხ. 3; შდრ. იერ.
29:13).
 2. კერპების თაყვანისცემით, ისრაელი გახდა ამაო, გადაიქცა არაფრად;
მათ ჰქონდათ იმდენი კერპი, რომ მათი რიცხვი შეესაბამებოდა მათი
ქალაქების რიცხვს (2:5, 28; 11:13); ისრაელმა გაცვალა სინამდვილე
თავისი ღმერთის – თავისი დიდება – კერპების ამაოებაზე (2:11; ფსალ.
106:20. რომ. 1:23).
 3. განდგომილება არის ღმერთის გზიდან ჩამოშორება და სხვა გზის
არჩევა, რათა გაპყვეს იმას, რაც, არ არის ღმერთი; განდგომა ნიშნავს
ღმერთის მიტოვებას და კერპებისაკენ შებრუნებას – იერ. 2:19.
 4. როდესაც ისრაელი იყო წაყვანილი ტყვედ ბაბილონელების მიერ,
ღმერთის ხალხი მაინც არ ამბობდა უარს თავის კერპებზე და
გადაყავდა ისინი კეთილ მიწიდან ბაბილონში; ყველაფერი, რაც
გვიცვლის ღმერთს ან იკავებს ღმერთის ადგილს, არის კერპი,
რომელიც ხდება ტვირთი მისი თაყვანისმცემლისათვის – ესაია 46:1.
 5. მუნჯი, უტყვი კერპები (1 კორ. 12:2; აბბ. 2:18-20) ხდიან მუნჯებსა და
უტყვებს მათ, ვინც თაყვანს სცემს მათ, მაგრამ ცოცხალი ღმერთი
ადძრავს თავის თაყვანისმცემლებს, რომ ილაპარაკონ ღმერთის სულში
(1 კორ. 12:3ბ; ფსალ. 115:4-8; 2 კორ. 4:13; ფსალ. 116:12-13):
 - ა) ღმერთის არც ერთ თაყვანისმცემელი, არ უნდა იყოს ჩუმად;
ყველამ უნდა გამოიყენოს თავისი ხმა, რათა განაცხადოს
ღმერთის სულში; „იესო არის უფალი!“

- ბ) სწორედ ეს – რომ ვთქვათ „იესო უფალია“, არის ძირითადი ფუნქცია ყველა სულიერი ნიჭისა; მოვუხმოთ უფლის სახელს სათანადო სულით არის საშუალება იმისათვის, რომ მონაწილეობა მივიღოთ წმიდა სულში, დაგტკბეთ მისით და განვიცადოთ ის – 1 კორ. 12:3ბ; შდრ. 14:17.
- გ) „მკვდრები არ აქებენ იეჰოვას, და არც ვინმე სამარეში ჩასული, ჩვენ კი ვადიდებთ იეჰოვას ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე, ალილუია“ – ფსალ. 115:17-18.
6. კერპი შეიძლება გახდეს ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, და ყველაფერიც, რაც ჩვენ ვართ; ისრაელი იყო ბოროტი და ორგული ღმერთთან დაკავშირებით, როდესაც მიატოვა ღმერთი და შებრუნდა კერპებისკენ; ასეთი ორგულობითაც კი ღმერთთან მიმართებით ჩვენ ზუსტად ისეთები ვართ, როგორიც ისრაელი.
- III. ჩვენ უნდა დავინახოთ ღმერთის ერთგულება თავისი სახლმშენებლობის განხორციელების საკითხში – შდრ. 37:3:**
- ა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ ორგულები, ღმერთი არის ერთგული (გოდ. 3:23ბ); ერთი ცნობილი პიმინის (პიმინი № 15) მისამდერში ნათქვამია: „დიადია შენი ერთგულება! „დიადია შენი ერთგულება! ახალ წყალობებს ვხედავ ყოველ დილით. შენი ხელი მაძლევს ყველაფერს, რაც მე მჰკირდება. შენი ერთგულება, უფალო, ჩემ მიმართ ძალიან დიდია!“:
1. ჩვენ შეიძლება გავიგოთ ის, რაც ბიბლიაშია ნათქვამი და ის, რაც ამ პომნშია ნათქვამი ღმერთის ერთგულებაზე ან ბუნებრივად, ან სულიერად.
 2. თუ ჩვენ ვგებულობთ ღმერთის ერთგულებას ბუნებრივად, ჩვენ, ალბათ, ვფიქრობთ, რომ ის არის ერთგული ძირითადად მატერიალური უზრუნველოფის ან ფიზიკური კურთხევის საკითხში, მაგრამ ღმერთის ერთგულება არ შეესაბამება ჩვენს ფიზიკურ გაგებას; 1 კორ. 1:9-ში ნათქვამია, რომ ღმერთი არის ერთგული იმაში, რომ მან მოგვიწოდა თავის ძესთან ურთიერთობაში, მაგრამ ჩვენი ბუნებრივი გაგების თანახმად შეიძლება მოგვეჩენოს, რომ ის არ არის ერთგული, რომ იზრუნოს ჩვენს კეთილდღეობაზე.
 3. „დაფიქრდით მოციქულ პავლეს ტანჯვებზე. ღმერთმა მოუწოდა მას, მისცა მას დავალება, საზრუნავი, და გაგზავნა ის, მაგრამ სადაც არ უნდა მისულიყო, მას პქონდა უსიამოვნებები. მაგალითად, როგორც კი მან დაიწყო ქრისტეს ქადაგება, ის წააწყდა დევნას. მას მოუწია დამასკოდან გაქცევა – ის ჩაუშვეს ქვემოთ კალათით. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ იყო ერთგული პავლეს მიმართ? არა. ეს ნიშნავს, რომ ღმერთის ერთგულება არ შეესაბამება ჩვენს ბუნებრივ გაგებას („იერემიას წიგნის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 33) – საქმე. 9:15-16, 23-25; 2 კორ. 11:30-33; კოლ. 1:24; 2 კორ. 1:5; ფილიპ. 3:10; გამოცხ. 1:9; 2 ტიმ. 2:10; 3:12.

4. როდესაც ჩვენ ვირწმუნეთ უფალი იქსო, ჩვენ, ალბათ, ვფიქრობდით, რომ მივიღებდით გარეგნულ მშვიდობას და კურთხევას; მაგრამ ნაცვლად ამისა, ჩვენ შევეჯახეთ მრავალ სირთულეს, და შესაძლოა, დაგარებეთ უსაფრთხოების განცდა, ჩვენი ჯანმრთელობა ან ჩვენი ქონება; როდესაც ზოგიერთი ქრისტიანი განიცდის მსგავს რამეს, მათ, შესაძლოა, ეჭვი ეპარებათ დმერთის ერთულებაში და კითხულობენ, თუ რატომ არ აღკვეთა დმერთმა ის, რომ მათ დაემართათ ყველა ეს უბედურება – საქმე. 14:22; 1 თეს. 3:2-5.
5. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, რადგან უშვებს სირთულეებს ჩვენს ცხოვრებაში, დმერთი არის ერთგული თავის ჩანაფიქრში, რომ ზურგი შეგვაქცევინოს კერპებისათვის და დაგვაბრუნოს ჩვენ თავის თავთან; შესაძლოა, ჩვენი მშვიდობა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და ქონება გახდეს ჩვენთვის კერპები, მაგრამ დმერთი არის ერთგული იმაში, რომ მოგვაშოროს ჩვენ ეს ყველაფერი, იმისათვის, რომ ჩვენ დავლიოთ მისგან როგორც ცოცხალი წყლების სათავიდან.
6. მაგალითად, თუ ჩვენი სახლი ან ჩვენი ქონება ხდება ჩვენთვის კერპები, ჩვენ ვსვამთ მათგან, და არა დმერთისაგან; დმერთის ერთგულება გამოიხატება იმაში, რომ ის ბოლოს უდებს ამ კერპებს და აღგმრავს ჩვენ, რომ დავლიოთ მისგან –ფსალ. 36:8.
7. დმერთი არის ერთგული, რათა შეგვიყვანოს ჩვენ თავის სახლმშენებლობაში (1 კორ. 1:9; 1 თეს. 5:23-24), ხოლო მისი სახლმშენებლობა არის ის, რომ ჩვენ დავლიოთ ქრისტე, ვჭამოთ ქრისტე, დავტკბეთ ქრისტეთი, შევიწოვოთ ქრისტე და შევითვისოთ ქრისტე, რათა დმერთმა მოგვიპოვოს ჩვენ როგორც თავისი გადიდება თავისი სახლმშენებლობის შესრულებისათვის.
8. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენ არა ვართ ისრაელზე უკეთესი; ჩვენთვის კერპი შეიძლება გახდეს ყველაფერი, მაგრამ დმერთი არის ერთგული იმაში, რომ შეასრულოს თავისი სახლმშენებლობა; თავის ერთგულებაში ის გვაშორებს ჩვენს კერპებს, რომ ჩვენ დავლიოთ მისგან; ჩვენ ყველამ უნდა დავლიოთ დმერთისაგან როგორც ცოცხალი წყლების სათავიდან, მივიღოთ ჩვენში ქრისტე და გადავამუშაოთ ის, რათა ის გადიდდეს დმერთის სახლმშენებლობის შესრულებისათვის, და დმერთმა მიიღოს თავისი გამოხატულება ჩვენგან როგორც თავისი წყვილისაგან – იოანე 3:29-30.
- ბ. თუ ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ არა ვართ მართალი დმერთოან მიმართებით, ჩვენ, შესაძლოა, მოვინანიოთ და ვიტიროთ, მაგრამ შემდეგ ჩვენ უნდა დავიწყოთ დალევა ცოცხალი წყლების, განვადიდოთ დმერთი, მადლიერი ვიყოთ მისი ყველაფრისათვის და დავტკბეთ მისით (1 თეს. 5:16-18); აი, რა უნდა დმერთს; მას არ აინტერესებს არაფერი, გარდა ჩვენი ტკბობისა ქრისტეთი:
 1. ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი მარცხის გამო ჩვენ ვართ უიმედონი; ეჭვგარეშეა, რომ ისრაელის ხალხს ეგონა, რომ დმერთმა

უარი თქვა მათზე და რომ მათ ბოლო მოედოთ, მაგრამ დმერთის თანაგრძნობა არ იწურება; პირიქით, ყოველ დილით ის არის ახალი – გოდ. 3:22-23.

2. იერემიას შეეძლო განეცხადებინა, რომ იქმოვა არის მისი ხვედრი და რომ ის დაიმედებულია მასზე, რადგან ის არის კეთილი მათ მიმართ, ვინც ელოდება მას; დმერთზე არიან დაიმედებულები, რადგან დმერთთან არ არის იმედგაცრუება – მუხ. 24-25; შდრ. ფსალ. 16:5; 73:25-26.
3. ჩვენი მარცხი გზას უხსნის ქრისტეს, რომ შემოვიდეს ჩვენში და გახდეს ჩვენი სამართლიანობა და ჩვენი გამოსყიდვა, და ასევე დაარიგოს თავისი თავი ჩვენში იმ მიზნით, რომ იყოს ჩვენი სიცოცხლე და სიცოცხლის კანონი, მისი თანმხლები შესაძლებლობით, რომ იცოდნენ დმერთი და იცხოვრონ დმერთი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი მარცხი უბრალოდ ამზადებს და ხსნის გზას იმისათვის, რომ ქრისტე შემოვიდეს ჩვენში იმ მიზნით, რომ ის იყოს ამაღლებული ჩვენში და ჩვენგან და გახდეს ცენტრალურობა და უნივერსალურობა – იერ. 23:5-6; 31:33-34; კოლ.1:17ბ, 18ბ.
4. თუ დღეს ჩვენ მივატოვებთ უფალს, ჩვენ არ უნდა გაგვიცრუებეს იმედი; დმერთს აქვს გზა, რომლის წყალობითაც მას შეუძლია იმუშავოს ჩვენზე და გააკეთოს ისე, რომ ჩვენ მივაღწევთ სიმწიფეს და გაგხდებით ახალი იერუსალიმი – ან როგორც მისი გამარჯვებული პატარძალი მომავალ საუკუნეში, ან როგორც მისი ცოლი მარადისობაში – ებრ. 6:1ა.
5. ჩვენ არ უნდა გვაწუხებდეს ჩვენი სიტუაცია; დმერთი არის მომთმენი, თანამგრძნობი და ჩვენი ტანჯვების გამზიარებელი, და ის გაგვხდის ჩვენ მოწიფულებს, მიუხედავად იმისა რამდენი ხანიც არ უნდა მოანდომოს ამას:
 - ა) თითოეული მორწმუნე, მიუხედავად იმისა, სუსტია ის მოცემულ მომენტში თუ ძლიერი, იქნება შემაღებელი ნაწილი ახალი იერუსალიმისა, და იქ ყველა იქნება მწიფე – გამოცხ. 19:7-9; 21:2.
 - ბ) ამიტომ ჩვენ არ უნდა შევმფორდეთ და არ უნდა გავიტეხოთ გული; პირიქით, ჩვენ უნდა გავმხევდეთ და მივიღოთ ნუგეშისცემა ყოველგვარი ნუგეშისცემისა და გამხევების დმერთისაგან – 2 კორ. 1:3-4; რომ. 15:5.
 - გ) ჩვენ უნდა ვიყოთ ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები დმერთის, რომელიც არის სათავე ცოცხალი წყლების, იმის წყალობით, რომ ჩვენ ვსვამთ მას, რათა მან შეძლოს, რომ იყოს სინამდვილე ჩვენში, რომელიც საბოლოოდ ხდება ჩვენი ჭეშმარიტება და გულწრფელობა. რომელშიც ჩვენ თაყვანს ვცემთ დმერთს ისეთი თაყვანისცემით, რომელსაც ის ეძებს – იოანე 4:23-24.